კვირა თებერვალი 7.

ფასი 10 კაპ.

№ 6. — სალამური

ყოველ-კვირეულური იუმორ. ჟურნალი.

ლექცია სასაკლაოს განახლების შესახებ.

ლიოგრაფია ს. ბიბოლისა

პირუტყვთა ექიმი. მოწყალენო ხელმწიფენო! ქალაქის გამგეობამ, როგორც დეპეშებიდან გაიგებდით და აგრეთვე პატივცემულ გაზ. „ლისტოკ"შიაც" ამოიკითხავდით, აიღო სესხი სამი მილიონი მანეთი. მილიონი, ბატონებო, ძლიერ დიდი რიცხვია და სამი მილიონი ხომ მეტი იქნება. ჩვენს კეთილს მმართველებს განზრახვა აქვთ ამ ფულების ნაწილი თქვენც მოგახმარონ. განზრახულია, ბ-ნებო,

ჩვენი სასაკლაოს ძირითადი რეფორმების მოხდენა. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს საუცხოო იარაღები მოეპო�aთ, როგორც დასაკლავი, აგრეთვე ტყავგასაძრობი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი კეთილი მამები ამ მსუქანი თანხიდან თქვენს კეთილდღეობასაც მოახვედრებენ მოწყალების ლუკმას. აბა დახედეთ, რასა გავს ეს დანები, ეს ხერხები და ეს მარწუხები! ეს ჯერ კიდევ პირველ ყოფილ ადამიანთა იარაღებია და სრულიადაც არ შეეფერება ისეთ დამსახურებულსა და განათლებულ ქალაქს, რომელიც 35 წლის ,,თვითმართველობის'' იუბილეს დღესასწაულობს და რომელსაც ისეთი ჭირისუფალი ყავს, როგორიც ბატონი ბატაილია.

მაშ იმედი, იმედი ბატონებო! იმედით სიკვდილი სჯობია უიმედო ცხოვრებას.

ეშმაკის ინტერვიუ.

ნესტორ კალანდაძესთან.

მარჯვე შემთხვევას ველოდი, თორემ კარგა ხანია ბ-ნი ნესტორის ნახვას ვეპირებოდი. დღეს მოგვეხედა ღმერთმა, (ანუ უკეთ ვსთქვათ გრ. დიასამიძემ) და ამისი საშვალებაც მოგვენიჭა. მე მოგახსენებთ სააზნაურო თეატრში მომხდარ ინციდენტზე.

ამბობდენ ძნელია იმისი სახლში მოსწრებაო და მეც სისხამ დილაზე მივიჭერი. დიდი ხნის ხრამგუნ-ბრახუნის შემდეგ გამომეგება შვათანა ტანის მოხუცი კაცი, ჯერ კიდევ ნამძინარევი თვალებით და ,,კაბინეტისკენ'' შემიპატიჟა. სახეზე უკმაყოფილების ცხადი ნიშანი ჰქონდა აღბეჭდილი, მაგრამ მე ეს თითქო ვერ შევამჩნიე.

— უკაცრავად შეწუხებისათვის, ბ-ნო ნესტორ!

ამაზედ მასპინძელმა მუნჯურის მეთოდით, (ცხადია ბ. ლევიცკის დროს სოფლის მასწავლებლათ ყოფილა) მიპასუხა და ნათლათ მაგრძნობინა, რომ ბოდიშით საქმე არ გამოკეთდებოდა.

— თუ არ საზოგადო საქმე, მერწმუნეთ მე თქვენ ასე დილა ადრიან არ შეგაწუხებდით.

— სრული იმედი მაქვს თქვენი კეთილგონიერებისა. რაზედ გასრჯილხართ?

— დიდი არაფერია!

— გთხოვ პატარა გვიბრძანოთ.

— გეახელით გაგვეგო თქვენი კომპეტენტური აზრი თეატრში მომხდარ ინციდენტის შესახებ...

— უჰმუუუ!

— მას შემდეგ, რაც 20 იანვრის კრებაზე თავი ისახელეთ ,,ალხანაშვილის ისტორიაში'', თქვენი აზრი ფრიად ღირს-მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევია ქართველი „მოაზრე" საზოგადოებისათვის.

— მესმის .. მესმის . თქვენი სურვილიცა და ბრძანებაც.

— მაშ იმედია არ გაგვაწბილებთ! რა აზრისა ხართ თქვენ გრიგოლ დიასამიძის რაინდულ გამოსვლის შესახებ?

— მოგახსენებთ. რამდენათაც მე შესწავლილი მაქვს ეგ ხელობა (უნდა გამოგიტყდეთ, არც ეგრე დიდი დახელოვნება მიმიღია!) მუშტიზმი არის მრავალგვარი. მისი ესა თუ ის სახე დამოკიდებულია ერთობ მრავალგვარისა და ფრიად რთულ გარემოებათაგან. მის განსახიერებაზე გავლენა აქვს როგორც შინაგანს (სულიერ) განწყობილებათა დროულ ვითარებას, აგრეთვე გარეგნულსა, ანუ უკეთ ვსთქვათ სცენიურს მოხაზულობას ასპარეზისას.

— განა სცენას მნიშვნელობა აქვს ამ საქმეში?

— თქვენ ვერ გაიგეთ. მე მოგახსენებთ იმ გარეშე პირობათა შესახებ, რომელშიაც იბადება მიზეზი და შედეგი მოქმედებისა. მეცნიერებამ იცის.. უკეთ ვსთქვათ მე ვიცი მუშტიზმის მეცნიერებიდან ორგვარი მისი სახე...

— თქვენ ამბობთ ალბათ მუშტისა და სილის შესახებ...

— სრულიადაც არა. თქვენ საგანს ზერელე ეხებით...

— განა იმასაც მნიშვნელობა აქვს ზერელე იქნება თუ ქვერელე? მე თუ მკითხავთ თავი უფრო საფრთხილო ალაგია...

— უვიცობას იჩენთ. მე მოგახსენებთ მეცნიერული განმარტების შესახებ. სჯობს მომისმინოთ.

— აკი თქვენს მოსასმენათ გეახელით, გთხოვთ განაგრძოთ.

— მაშ ეგრე. მე ვიცი მხოლოდ ორი სახე.

— არა სამი... გოთუა, ხეჩატუროვი და ალხანაშვილი...

— თქვენ მიშლით!

აქ მრისხანე მასპინძელმა სახე შეიკრა. მე შიშის ჟრუანტელმა დამიარა. ვიფიქრე: ვაი თუ აქ დემონსტრატიულათ განასახიეროს ორივე მეცნიერული დარგი მუშტიზმისა მეთქი და ვამჯობინე ბოდიშის დაჩქარება.

— უკაცრავად თქვენთან, ბ-ნო ჩემო, მეტს აღარ შეგიშლით.

— უკაცრავათ ჩემთან კი არა, თვით მეცნიერებასთან ბრძანდებით, დიახ, თვით მეცნიერებასთან!

— გთხოვთ განაგრძოთ.

— ორივე სახე მუშტიზმისა დასაგმობია, მაგრამ არა ერთგვარ მიუტევებელი. არის შეხება თავდავიწყებითი, წუთიერი, შეუგნებელი და არის აგრეთვე განზრახული, მოფიქრებული. მათ შორის დიდი ზღვარია და სამართლიანობის სასწორზე ცხადია პირველს უპირატესობა მიეცემა.

— ამ შემთხვევაში რომელ მათგანსა აქვს ალაგი?

— აქ მეორე დარგის ტიპიური განსახივრებაა. გრიგოლ დიასამიძე ისტორიაში ცნობილია, როგორც ეფექტებისა და ეგრეთ წოდებული „რაამ-ბავია!“-ს მოყვარული ტიპი. თუ ჟურნალ-გაზეთობ-ს დავუჯერებთ, თუმცა ძნელი კია ამ გათახსირების ხანაში მათი დაჯერება, მაშინ იმ დასკვნამდე მივალთ, რომ თეატრის ინციდენტი იყო მოფიქრებული, მოსაზრებული (თუ კი შეიძლება აზრი ერიოს ამგვარ გადაწყვეტილებაში) მოქმედება.

— თქვენს პრაქტიკაში ხშირათ ჰქონია ალაგი ამ სახეს მუშტიზმისას?

— თითქმის არასოდეს. მე მიმდევარი გახლავარ უფრო პირველი დარგისა.

ჰქონდა თუ არა საბუთი ბ-ნს დიასამიძეს ეგრე მოქცეულიყო?

— უმიზეზოთ არაფერი ხდება, მაგრამ ჩემის ფიქრით ბ-ნ გოთუას „მოსაზრებას“ არ უნდა გამოეწვია ბ-ნი დიასამიძის უაზრობა. ეს საკითხი შეიძლებოდა უბრალო დიპლომატიური მოლაპარაკებით გათავებულიყო, მით უმეტეს, რომ ბ-ნ გოთუას დიდი მიდრეკილება აქვს დიპლომატობისადმი.

— სრული ჭეშმარიტებაა. ამ მიდრეკილებას, როგორც ამბობენ, შემუსვრის შემდეგაც იჩენს.

— არა, ეს ტყუილია! უმჯობესია კაცმა თავიდანვე გამოიჩინოს წინდახედულობა, ვიდრე კატასტროფის შემდეგ სულგრძელობა და კეთილსულობა.

— მაშ თქვენ გმობთ ამ საქციელს, არა?

— სრულის ჩემის არსებით! თეატრის სამოქედო ასპარეზათ არჩევა, თორმეტი საათის მომზადება, მოულოდნელი დავდასხმა, ყოველივე ეს მეტის მეტათ ამძიმებს ბ-ნი დიასამიძის დანაშაულს. მე გავიგონე, თითქოს ინციდენტის შემდეგ პარტენს ეთქვას: „მომიყვანეთ გრიგოლი, მინდა გადავეხვიო და გადავკოცნოო.“ არ ვიცი რამდენათ მართალია ეს ხმა, მაგრამ ჩემის აზრით ასეთი განცხადება, განცხადება არა გულწრფელი, უკეთ ვსთქვათ ზე-იეზუიტური, ადვილათ გააღვიძებს ადამიანის გულის წყრომას და წარმოშობს პირველი კატეგორიის განსახივრებას.

— ბ-ნი ამირეჯიბის შესახებ რაღას იტყვით?

— რა უნდა ვთქვა. როგორც მოყვარული „ხელოვნებისა“ ის მოწამე გახდა ამ ინციდენტის, მორჩა და გათავდა. ყოველივე საფუძველს მოკლებულათ მიმაჩნია ის ხმები, თითქო მას გავლენა მოეხდინოს პატივცემულ გრიგოლზე. ჩემი აზრით ბ-ნ გრიგოლს კი შესწევს იმდენი ნიჭი, რომ დაუხმარებლათ მოეხდინა თუნდაც ასეთი ეფექტიური სკანდალი.

— ამგვარათ თქვენ სავსებით ამართლებთ ბ-ნ ამირაჯიბს, არა!

— მიკვირს ღმერთმანი! რაში უნდა დავსდო ბრალი, როცა მისი დანაშიული არა სჩანს. მე გავთავე. თუ სხვა არა გაქვთ სათქმელი გთხოვთ მიბრძანდეთ.

— გეახლებით, გეახლებით... მხოლოდ ერთად ერთი კითხვა: რით გათავდება ეს იცინდენტი?

— ეს იმათზეა დამოკიდებული ვინც დაიწყო. შეიძლება მშვიდობიანათ გადაწყდეს, შეიძლება ისევ სკანდალი მოყვეს.

— უკაცრავათ, ერთი ეს მიბრძანეთ, კუდიან ვარსკლავს ხომ არა აქვს გავლენა ასეთ საქმეთა გახშირებაზე?

— რა მოგახსენოთ. ფლამარიონი მაგის შესახებ არავითარ ცნობას არ გვაძლევს. ჩემი აზრით უფრო მეტი გავლენა კუდიან კაცებსა აქვთ, ვიდრე კუდიან ვარსკვლავებს. მშვიდობით.

— მშვიდობითა გნახეთ

ქუჩაში გამოვედი და გულდამშვიდებით ამოვისუნთქე. მშვიდობიანათ გადარჩენა არც ისე პატარა საქმეა.

ეშმაკი.

ჩემი სატრფო.

—

მომტაცეს ტურფა—სატრფო გულისა,
მიუვალ მთაზე დააბინავეს,
საცა არ ძალმიძს მივწვდე—უშველო,
გადავარჩინო მტრების სიავეს;
საცა მცველებად შავი ღრუბლები
გარს ახვევია სატრფოს, თავს აწევს,
სქელსა ნისლებში გამოხვეული
ფერ დაკარგული ტანჯვით სულსა ლევს.—
ასეთ ყოფაში რომ ვხედავ სატრფოს,
ურომლისოდაც ყოფნა არ მიღირს,
ცხრა-კილტულს მყოფი, ხელ-ფეხ შეკრული
სანამ გაუძლებ, ვებრძვი ყოველ ჭირს,
რომ ჩემი სატრფო—ტურფა, ლამაზი
ახლო დამირჩეს, ვილოცო ღმერთად
და შევებრძოლო სულის შემხუთავ
უსამართლობას იმასთან ერთად.

ს. ჭურიძე.





„მუშების“ ოინბაზობა!

ვინმე „მუშამ“ (Нѣкто въ сѣромъ,) მუქარის წერილი ჩაუშო ფოსტის ყუთში და ჩუმათ განშორდა იმ ალაგს. აბა რა იცოდა საბრალომ, თუ ამით ბ ნ დირექტორს ტრამვაისას ასე „გააბრაზ-გაანაწყენებდა“?

ტრამვაის დირექტორმა მიიღო მუქარის წერილი. ერთობ განრისხდა. პირიდან ცეცხლსა ყრიდა და თვალთაგან მდულარებას. იმან უცებ მიაგნო „ბოროტ-მოქმედთა“ კვალს. ცხადია, „უმადური“ მუშები უმტერებდენ რასმე.

დაიბარა მუშები და უთხრა: მე მშიშარა არ გეგონოთ. ჩემი არსება ტყვიებით დაცხრილულია. აი შეხედეთ, რასა მწერენ მუშები. „არ იფიქროთ მარტო ხუთი ათასის სიქმე გაკეთრეთ. მაგისთანას ჩვენ ორ ასი ერთსა და ორს მოგიწყობთ“ თქვენ უთხარით თქვენს ამხანაგებს, რომ მე არა ვარ მშიშარა.

მართლა ასეა?!

(ხმა სოფლიდან)

როდესაც ვხედავთ, ჩვენი ნაშრომით
სხვები ცხოვრობენ ლხინით, განცხრომით,—
ჩვენ-კი შიმშილით სულები გვხდება,—
მაშინ ვკითხულობთ: ასე რათ ხდება?!
და როცა ამა ტანჯვის მიზეზებს
ყველა ჩვენგანი სჩხრეკავს და ეძებს,
მაშინ აქ მღვდელი გაჩნდება ხელათ
მძიმე მიზეზის ,,ადვილ ამხსნელათ'':
,,შვილებო, ქვეყნათ რაც რამ ხდებაო,—
ნუ სწუხართ, არის უფლის ნებაო.
ღვთის ნებას უნდოთ ნუ ეპყრობითო
და ნურც უცქერით მდიდრებს მტრობითო.
მე აქ მოგიყვანთ მაგალითებსო:
აბა, შეხედეთ ხელის თითებსო
სიდიდ პატარე მათშიც არიო...
ვინ გაასწორა მთა და ბარიო?!
ყველაფერს ღმერთი საზღვრავს ვიდრეო
ხომ სიღარიბე და სიმდიდრეო
ერთხელვე ღმერთმა დააწესაო.
თქვენ-კი როგორ გსურთ მოსპოთ ესაო?!!
თუ არ იქნება უფლის ნებაო,—
ბეწვიც-კი არვის დაცვივდებაო.
მეც ენა-პირი მაქვს იმ უფლისო,
ვინც ხალხს თავზეც კი ბალანს უთვლისო.
ვერც ვინმე შეცვლის ამ ღვთის ნებასო
მეც მას ვასრულებ, რაც ღმერთს ნებავსო''.

—

იქ მღვდელზე ვიწყეთ ყურების ცქვეტა;
ვსთქვით: ,,რას ეძახის ღვთის ნებას ნეტა?!!''
და რაც ჩვენ ვნახეთ... თქვენი მტერია...
ნუ თუ ღვთისგან მღვდელს ეს უწერია?!
ნუ თუ ისა სურს ღმერთს სამართლიერს,
ლუკმა წაგლიჯოს მაძღარმა მშიერს?!!

—

ღმერთმა „მის ნება'' თუ მღვდელს გადმოცა,
მაშ მღვდელი ,,სტრაჯებს'' ჩვენ გვისევს როცა;
მათი მათრახით რომ ტყავი გვძრება,
ალბათ ამასაც ,,ღვთის ნებით შვრება''?!

—

როს გვძარცვენ, გვყრიან ულუკმოთ სრულათ,
ნაძარცვს აქცევენ სულ ,,დრამის'' ფულათ
მით რომ მღვდელს ჯიბე გაექვისნება,
ნუ თუ იქნება
ესეც ღვთის ნება?!

თუ ღვთის ნებაა დაცვივნაც ბეწვის,
მაშ, სიტიტვლით რომ დღეს კანი გვეწვის,—
ღმერთს სურს კონკების ძირს ჩამოცვენა?!
მიტომ იქნება მღვდლის შემოჩენა?!
ალბათ ,,სასწაულს'' ახდენს მღვდლის ხელი
ასრულებს, რაც-კი არის ჩაქნელი.
და, როცა ჩვენ მთლათ შიშვლათ დაკრჩებით,—
მღვდელი შემოსავს ცოლ-შვილს ფარჩებით.
ალბათ იქნება
ესეც ღვთის ნება.

როცა მღვდელი ზრდის სკოლებში შვილებს,
შეჰხარის მაძღრებს, კოხტათ მოსილებს,
ჩვენი ბავშვები კი მშივრათ ჰყრიან,
შემოგვტირიან, ცხარე ცრემლს ღვრიან,
,,პური, პურიო!!''—იშვერენ ხელსა
(იმათი ცოდვა მიეცეს მღვდელსა)
ხომ ვერც რას ვაკმევთ, რაც არ გვექნება?..
ნუ თუ ეს არის
მეუფის ნება

როდესაც ყველა, ვინც გვჩაგრავს, სისხლს გვწოვს,
ჩვენს დამონებას მღვდელს ავალებს, სთხოვს,—
მღვდელიც ჩვენს აზრებს ადებს ბორკილებს;
მჩაგვრელების წინ გაგვხდის მომრჩილებს.
ალბათ იქნება
ესეც ღვთის ნება

როს მყვლეფელები შრომის ჯილდოთ მღვდელს
პატივსა სცემენ,—აქ ,,ხელი ჰბანს ხელს''.
,,ხელთ ბანის'' შემდეგ მღვდელს იჯენენ გვერდს,
მღვდელიც გადადის მათთან ,,ალავერდს''.
ნუ თუ იქნება
ესეც ღვთის ნება?

როცა ამ გვარათ, ჩვენი ნაშრომით
ცხოვრობენ მუდამ ლხინით, განცხრომით;
ჩვენ-კი,—მუშა ხალხს კუჭი გვიხმება.
ნუ თუ ყველა ეს
არის ღვთის ნება??

ფონ ტეფო.

დეპეშები.

(ღიალიაძის სააგენტო)

ოზურგეთი. მოქალაქეებს დაერია ძველი ჭირი ,,ნაკალანდევი''. მუსრი გაავლო ქათამ გოჭსინდოურს. ხუნტრუცობა და ყარყუმობა აღდგენილ იქმნა.

— ახლო მომავალში გაიხსნება კბილის საექიმო და ტყლიპის მოსარჩენი კაბინეტი.—დავა ადგილზეა, თუ სად აჯრბებს.

ზემოქმედი. ძლიერი სროლა იყო. ბევრი მეიშალა კონდახში ორი თხლეთ ქცეულიყო და ძლივს მიაგნეს სამი დღის შემდეგ ბევრს წაუხდა მუცელი.

ლიხაური. სანამ ადესას არ მონაყს სულ ვიცეკვებთ. სამოსახლო მიწას ხიდისთაველ ასკანლებს ყერ დავანებებთ, ძროხების საბალახოთ დაგვჭირდება ოდესმე.

ბოხვაური (,,ჩეტა'') მევენახეები შეუდგნენ სხვისი ადესის გადაკაფვას.

გურია. მშვენიერი ამინდია. აფთიაქრები-ფერშლები და ხუცები ყველა უხვ მოსავალს მოელის. ხუცებმა უკვე აუწიეს ფასი კვერნის ტყავს.

ჟანჟათი. დეკანოზების სკოლაში ჯერჯერობით ორნახევარი ყმაწვილია. ვიცე-სმოტრიტელი ლავრენტი ეპიფანეს და რაფიელს ევაჭრება. .

ხიდისთავი. აღარ გვყავს ტარნანანო, ეხლა ლაზარე ბლაღოჩინით ვიქცევთ თავს. სამაგიეროთ ლაზარემაც ყველა გვიშვილა.



დაკარგულ სატრფოს.

I.

დიდი ხანია დაგეძებ
პირიმზევ, სატრფოვ გულისა,
მაგრამ ვერ გპოვე, ველარა
ემბლემავ სიყვარულისა.
ბარათ აღარ ხარ ღვთაებავ,
ვერ დაგინახე თვალითა
მთას ხომ სულ აღარ ეწვევი
მარად დაბურულს თოვლითა.
ქარიშხალს გაჰყე? არ ვიცი
თუ აღმოსავლის ზენამა
დაგბერა... შორს წარგიტაცა
დუხჭირ ცხოვრების დენამა?
თუ მუხთალ მტერმა ხელთ გიგდო,
გამოგამწყვდია საკანში
მაგრათ ჩაგიკრა ხელ-ფეხი
უსამართლობის აკვანში?
თუ ზღვის საამო ფურჩულმა
წაგიტყუილა თვისკენა
გულს ჩაგიკონა... დაგძლია...
აწ აღარ გიშვებს ჩემსკენა?
არ ვიცი... მარად დაგეძებ
მთა-ბარად, ყვავილთ შორისა...
ვაჰ რა ძნელია დაკარგვა
საყვარლის, სულის სწორისა!

II.

ხშირად რუს ახლო, მწვანეზე,
ტირიფის ჩრდილ ქვეშ მწოლარე
ყურს უგდებ იმის ჩუხჩუხსა
გულ-დაკოდილი, მწუხარე.
ბულბულსაც ვუსმენ: როს სატრფოს
უგალობს ტკბილსა ჰანგებსა
ხან ალხენს მსმენელს, ხან გრძნობით
აუშლის შავსა დარდებსა.
მაგრამ მათ ხმებში ვერ პოვე
შენი ხმა ნაზი, ნარნარი
და მწარე ფიქრებს ვეძლევი
უშენოთ დამწვარ დამდნარი.
ხშირათ ჩასვლისას, როცა მზე
შეათამაშებს სხივებსა
და მკრთალ სინათლეს მოაფენს
მინდვრისა ვარდ-ყვავილებსა,
დაგეძებ, მაშინც დაგეძებ,
მგონია მათთან გაქვს ბინა
მსურს გნახო... გრძნობით სიმთ გავკრა
სიმღერათ დავდნე შენს წინა,
მაგრამ ვერ გპოვე, ველარა
სიცოცხლე, ჩემი მიზანი
და სოფლად როგორც ეული
დავდივარ შენი მგოსანი.

III.

უკვე დაბინდდა. ჩემ ცაზე
გაეკრა შავი ღრუბლები
მთვარე წყვდიადმა ჩაყლაპა,
არ ნათობს მისი სხივები.
საშიშარია მგზავრობა,
ბნელში სვლა გასაჭირია,
ამ ტიალ ღამეთ მოარულს
დიდი სიფრთხილე სჭირია.
მაგრამ მივდივარ... მშიშრობა
რა წესი არის ვაჟკაცის,
ვინც რომ გასაჭირს გაურბის
ვით ჩაითვლება კაცად ის?
დაე ამქუხრდეს თუგინდ ცაც
დამსეტყვოს შეუპოვარი
უკან მაინც არ დავიხევ
მტრისათვის ჭირის მთოვარი.
განვაგრძობ წინ სვლას... შევარყევ
სამყაროს მიძინებულსა
და გამოვიწვევ მაშველათ
ბედისგან დაჯაგნებულსა.
მოვივლი კიდით-კიდესა,
შევძრავ ზღვის უფსკრულს ტიალსა
ავაწიოკებ ყოველ არსს,
ცას ვასმენ იმათ ღრიალსა.
და მაინც, მაინც მოგნახავ...
დავამსხვრევ შენსა საკანსა
დაგიხსნი... ყელს მოგეხვევი
სატრფოს, სიცოცხლის საგანსა.

ნ. ჩხიკვაძე.

დ ე კ ე შ ე ბ ი.

(ანათემას საგენტო.)

ქუთაისი. ვაჭრებმა საბოლოოთ დაადგინეს: პირველი მარტიდან მოიწვიონ კიდევ მეორე ასეული აჭარლებისა, პირველი ასეულის თვალ-ყურის სადევნებლათ.

იქიდანვე. ქუთათურმა მანდილოსნებმა გადასწყვიტეს ამ გზაფხულზე პარიზი ან ტოკიო გადმოიტანონ ქუთაისში, ხოლო 1912 წლისათ კი პეკინიც.

იქიდანვე. ქალაქის თვითმართველობამ დაადგინა: ის 1000 მანეთი, რომელიც ძველმა გამგეობამ პირველ სამოქალაქო სასწავლებელს დაუნიშნა დახმარებათ, თანასწორათ გაყოფილ იქმნას ქუთაისის მაზრაში არსებულ ყველა ამგვარ სასწავლებელთა შორის.

(წვაიას საგენტო)

სამტრედია. რკინის გზის აფთიაქის მოსამსახურეთა შორის დიპლომატიური მოლაპარაკება შეწყვეტილია.

იქიდანვე. დეპოს სამკითხველოში მარტო ჯდომისა და მოწყენილობის გამო მოხუც ეზეკიას დაამთქნარა. ამით ისარგებლა თაგვმა და პირში ჩაუხტა დამნაშავე ჯერაც ვერ გამოიყვანეს.

იქიდანვე. რკინის გზის თეატრში რამოდენიმე სცენის მოყვარე დასახიჩრდა. საქმისადმი გულგრილობის მოსასპობათ განიზრახეს გულის გათბობა და მიიღეს მემახურებელი სითხე. შედეგი შეხურებაა, მაგრამ თავისა და არა გულისა.

იქიდანვე. ქართული წარმოდგენის დროს კინალამ ორი ბავშვი გაიყინა და ერთი დაიმტვრა. მიზეზათ იმ გარემოებას ასახელებენ, რომ ამ წარმოდგენების დროს არც დარბაზს ათბობენ და არც ფანრებს ანთებენ.

სამტრედია. მატერიალნი სკლადის მოჯარადრეთა შორის მეტოქეობა დასრულდა. გამარჯვება ახობაძეს დარჩა. საზოგადოთ ეს დაწესებულება განთქმულა საეშმაკო ამბებით.

ბაქო (შეძთხვევით) აქეთ დიდი მზადებაა. თებერვლის პირველ რიცხვებში გაიმართება ქართული საღამო ახალ გახსნილი სკოლის სასარგებლოთ. ქუთაისიდან გამოწერილია 567 ჩოხა, რადგან საღამოზე დასწრება, როგორც ამბობენ მხოლოდ ნაციონალურ სამოსელში შეიძლება. თერძები გამალებით მუშაობენ.

ტყეს, ჩაფიქრებულს!..

ტყეს, კაძარცვულო, დადგრემიდხარ, მოგიწყენია!
რადაც უზრახთ შორს სიგრცისკენ კაიეურება...
შენი მანტია ქარს მიწაზე კაუფენია,
ზედ თავისუფლათ ნაყარდობენ მგლები, ტურები...,

ეგ მტაცებლები არხეინათ თავისთავს გრძნობენ:
თუ რომ საკბილო შეამჩნიეს შეის იტაცებენ...
ტყეს, დიდებულო, აქ ბატონათ შენ-კი არ გცნობენ,
ეგ მტაცებლები თვის გემოზე შენ გბრძანებლობენ!..

შენ ამ მოგდენას არც-კი გიხდა კასტე ნასუხი,
რაცა ამ ხვედრში თითონ ცასაც-კი ებრალები...
ცის, შენამ გულცივს, შენზე გრძნობით კადმონაქუხი
უხეი ტრემლებით ავსებია ცივი თვალები...

რათ კასტქერ ზდვასა, მუდამ ფხიზელს, მუდამ მოძრავსა?
იქნებ არ მოგწონს შენ ი'ის ზვირთა მუდმივი სრბოდა?!
ხან თითქოს კიდეც ეჯიბრები, ადარებ თავსა...
რით?!—რომ კანკალებ სიცივისგან და მოკდის ორთოდა?!

„ესეო“... ნიავმა
კაისრიალა...
ტყემ გულსაკლავად
დაიშრიალა...
მას სიომ შუბლი
კადუკოცნა...
ეგ მთამ-ტყეს დიდის
სალამი სტეორცნა:
ნაცვლად სალამო
დიდის მზის სხივის,
სიო მოამგვრელი
მძაფრი სიცივის,
გულის მფათრავი,
როგორც ისარი...
ტყე კვლავ ათრთოდა,
მწარეთ მგვნესარი!
სულთ მობრძავიკით
კაიწოდინა...
ხემ-ხეს ხელები
წაუტოტინა,
თითქოს სცდილობს, რომ
რადაცა სთხოვს:
უკანასკნელათ
კამოეთხოვოს!
სიკვდილს დაუდკამს
აქ უველკან ტახტი:
მოძრაობს მძიმე
იმისი დახტი!
იქით-კი შორს, იქ
ნაძვებს და ფიჭვებს,
რომ გბაკონებენ
ხარტ-შესხმულ იჭვებს,
რადაც კრებ აქვთ,
თითქოს მსჯელობენ!...
რა დროს ეკაა!
რას სულელობენ?!
„ესეო! ესეო!“ ნიავი
დასძახის ტყესა...
ბებერმა მუხამ
ამოიკვნესა.

—რაა, მოხუცო!
არ მოგწონს, კარგია?
—„შეიდო, დაგლახდა,
ვხედავ, ქვეყანა:
ტუე სათარეშოთ
დაურჩა ტურებს!
ეგ სიცოცხლეს ვის
არ მოამდურებს?!
სიკვდილს ვითხოვ და...
ადარც ის მოდის!“
—მოვა, ბაბუ!
—,,ეჰ, როდის? როდის?!‘‘

და გულსაკლავი უბასუხო ბებრისა კვნესა
რალაც ISზარ ხმათ ამოძრავდა, მოედო ტუესა!..

ტუეს-კი, ტან გაძვრენილს, ჩაფიქრებულს-მოუწყენია
უტეკი უაზროთ შორს სივრცისკენ კიეურება...
სათანაგრძნობო ძალა თითქოს ადარ შეუნია,
თავისიანის მწარე კვნესა არ ეეურება ..

ნ. ზომლეთელი.

მ ე ს ტ ვ ი რ უ ლ ი.

(ფოთის არტელისათვის).

მსურს სტვირზე დავაღიღინო
მეგობართ გულის წყლულები:
ვკითხო: რათა ვართ მარად-ჟამს
მონურათ დაჩაგრულები?
რათ გვწიხლავს დიდი, პატარა
ვეთრევით ბედით კრულები,
რათ გაგვაჩინა უფალმა
სხვის ბედის მონატრულები?
შეგნება მცირე რათა გვაქვს,
და არას ვიღებთ ყურათა?
ჟურნალ გაზეთის წაკითხვა
რატომ გვძაგს უბედურათა?
სამაგიეროთ კარტ-ნარდი
ვისწავლეთ ოსტატურათა
არ დავივიწყეთ ბახუსიც
თავისა გასახურათა?
რისთვის ვიწამლავთ ცხოვრებას,
თავს რად ვიფუქებთ ძალათა
ან კი რა თავი გვამშვენებს?..
როგორც ცოცხალი კალათა,
საპარასკევოს გდებული,
გარეთ სველ, შიგნით მშრალათა.
მოვსულვართ აქა ბოკკებთან
საომრად, დასაცალათა,
აბა მივსდიოთ სახლამდე
ფეხებზედა დგას ძალათა.

—

ნავთ-სადგურისკენ წავიდეთ,
სადაც ხომალდებს ტვირთავენ,
ბახუსის მოციქულები
აქაც ბოკკებსა ხვრიტავენ
და მაკარონის მილითა
მუნითგან ღვინოს ხვლიპავენ,
ზე-დამათვრალნი ბოკკებზე
თვალებს საბრალოთ ყლიპავენ
მათრახი უნდა ამ საწყლებს
თორემ მეტს გადაგვიკრავენ

—

აქედან მალე დავბრუნდეთ
სტვირო, გიკურთხე ჯანია,
უყურე, გზაზე თუ ნახო
ანდრია აბურჯანია:
„ველარ ჭრის შენი თხოვნა თქვა“
ტყუილათ გაუგზავნია
და სამათრახოთ აზომე
იმისი ბეჭის განია.

—

აქ უცებ ყავახანაში
შევალთ და ვნახავთ სეირსა,
ერთისა წაგებ-გოდებას
მეორის მღერას, ხეირსა,
ვით განატყოცნი მეხისა
მიქრიან კამათლები,
უკან მისდევენ კამათლებს
მენარდეს მარჯვე ხელები,
როგორც თაგუნას კატუნა
შიმშილით განახელები...
დასტაცე ხელსა ხელია

და შეაჩერე მენარდე
უთხარ: „ამ უწესოებას
რატომ ჩადიხარ გიყვარდე?“
თუ გითხრას: „რა ვქნა, ძამია
ცხოვრებამ მოიტანაო,
და რომ არ იყოს ასეთი
სასოწარკვეთის ხანაო,
თვითონ გასაჯე მზგავს რამეს
მე ჩავიდენდი განაო?“
მაშინ უცხუნე მათრახი
და მიუმღერე სტვირია.
უთხარ თუ: «ლათაიები
არ გვინდა, აღარ გვჭირია,
მიხვდეს ყმაწვილი სად არის
სიწითლე გასაჭირია.»

ნალარა.

შეკითხვა ეშმაკისადმი.

4 თებერვლის სხდომაზე, როცა თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებდა თვით მთავარ ეშმაკი, ხოლო მდივნისას ბ-ნი ტარტაროზი, შემოტანილი იქმნა შეკითხვა თფილისის ,,ხელოსანთა გამგეობის'' მამათა მოქმედების შესახებ შემდეგი შინაარსისა.

„მოეხსენება თუ არა მათ უეშმაკეულესობას, რომ ჩვენი ძვირფასი მამები „ხელოსანთა გამგეობაც“ და მეტადრე პარიკმახერთა მაესსახლ-ისი და ზოგიერთნი სხვანი, თავიანთ მოვალეობათ მხოლოდ ფულების მოგროვებას და დაიმასქნას სთვლიან,

რომ სახელოსნოს გაღების მოწმობისათვის ორი-სამი საათის ეკზამენს კმარობენ და ისეთ ექსპერტებს იწვევენ, რომლებიც მათი ჯკუისა და სურვილისანი არიან.

რომ «კარგი ყოფაქცევის» მუშებს თავისს მფარველობის ქვეშე აყენებენ, ხოლო „მავნე პირებს“ მთელი წლობით აწვალებენ ასეთივე მოწმობისათვის,

რომ კარგი სადილ-ვახშამისა და სხვა ამგვარი გამოსარჩენის გულისთვის ვირს ხეზედ გაიყვანენ და ცხვარს ყიყლიყოს დააძახებენ.

ეოეხსენება მას ყოველივე ეს თუ არა და თუ მოეხსენება რა ღონისძიების მიღებას „პიროზს.“

„პირველი არტელი პარიკმახერებისა.“

ეშმაკთა საბჭომ გულდასმით განიხილა ეს საკითხი. დიდი ხნის კამათის: შემდეგ დაადგინა ის გადაეცეს შეკითხვათა კომისიას უკანასკნელი მსჯავრის დასადებათ.

მ ა რ ა დ ა.

ზოგი დიდ რამეს დაგიწერთ,
ზოგი პატარის მჯერია.
მე ბაირაღი მწერლისა
აროდეს არა მჭერია,
შარადა რაა,—დღემდისინ
არც იგი დამიწერია!
რა საჭიროა, ვფიქრობდი,
ქაღალდს ვადინო მტვერია,
ვერრა აამო მოყვარეს
და გაიჩინო მტერია!
დღეს კი აღთქმანი უარვყავ,
გული მაქვს ანაძგერია,
ქარაგმით თქვენთვის სათქმელი
სიტყვა მაქვს ერთობ ბევრია,
მაგრამ ჯერ ერთსა მოგითხრობთ,
სხვაზედაც მივა ჯერია...
იცოდეთ მისი სახელი,
ვინც ოლიმპიელთ წევრია,
ვისაც ნიჭი აქვს ნაქები,
ზეციდან მონაბერია!
ქართველ მწერლებში მარადის
პირველი რიგი სჭირია!
მაშ ასე... თავაზიანათ
იქნებ წამომყვეთ ტყეშია,
მცენარეს ვნახავთ მკბენარსა,
მოსაწყვეტს რიდით ღერშია,
მაგრამ მთლიანათ არ მინდა,
ნუღარ შემარჩენთ ხელშია!
(ურჯულო იქაც ამოდის,
სად ვარდი დანათესია!)
ბოლო მარცვალი მოსწყვიტეთ
მარჯვეთ, სიმტკიცით, რწმენითა,
მომდიეთ... ბოლოს მადლობას
მომიძღვნით ტკბილი ენითა!
მაშ ნუ შევდგებით, შარადის
გზა გავიაროთ ქშენითა,
თორემ ველარას გავხდებით
მერმეთ ღა თითზე კბენითა!
რაც დაგვრჩა, რისგანც წავგლიჯეთ,
შენახული გაქვთ სიაში!
მაშ ტყიდან ჩქარა წამომყეთ
სომხების ეკკლესიაში!
იქა დგას მამა მლოცველი...
ალბათ გინახავთ ყველასა!
მისი წოდება სჩვევია
საწყალი ხალხის წველასა.
თუ ჩაუვარდით ხელშია,
მე ნუღარ მომთხოვთ შველასა!
მაშ სიტყვას იმას ნანახსა,
განმეორებულს მარცვალსა,

რწმენით მოჰკვეთავთ პირველსა!
(არ ვცრუობ, ვამბობ მართალსა).
და ეგ პირველიც წაიღეთ,
რაც გვქონდა, დაუმატევით,
ეგ ისე ძნელი არ არის,
მე ტვირთათ ნუ დამადევით!..
შემდეგ გაზაფხულ ნაშობი
ყვავილი შვაზე გაყევით,
ბოლო შორს გადაიტყორცნეთ,
თავი კი შეინახევით,
და რაც რომ ზევით გვეწერა,
ესეც მათ წაუმატევით!
ახლა რუსეთში, თუმც ცივა,
მოგვიწევს ჩვენ წოწიალი,
პეტრეს ქალაქი ხომ იცით,
იმას ჩაუდის ტიალი...
ვიცი ხორველა იგონეთ,
აგიტყდათ გულის ფრიალი!
ესეც შუაში თანსწორათ
გაჰყევით, ხომ მოერევით,
კალმით იქნება თუ დანით,
გინდათ ხანჯალთა წვერებით,
შემდეგ პირველი ათრიეთ,
რაც გვაქვს, მათ მიაკერევით.
ეს მხოლოთ დასაწყისია,
პირველი სიტყვა სათქმელი!
კიდევ-ღა დაგვრჩა მეორე,
ბოლოზე მოსამატელი.
მაშ ნუ იყოვნებთ, წამომყეთ,
ურიასტანში ვიაროთ,
მაგრამ სალოცათ კი არა,
და არცა სამგლოვიაროთ!
მხოლოთ ფიქრი, რაც მოგვივა,
ერთმანეთს გავუზიაროთ!
ბეთლემს, მღვიმეში მოვნახოთ
სად იშვა გალილეველი,
სიმართლის მქადაგებელი,
მტერთ ზარდამცემი, მძლეველი!
(მასთან იოსებ ხომ იყო
იმ უცხო ღამის მთეველი).
ალბათ მიმიხვდით... იმაში
ახლა მარცვლები შესცვალეთ,
მეორეს ადგილს პირველი,
ამდენი ნულარ ეწვალეთ!
დაიქმაცებით... შარადას
ძალიან ნუ დაეძალეთ!
სიტყვას ბოლოში მიაბით
რითაც თავდება გვარები,
მაგრამ გვაზავა, გოთუა
არა მყავს დანაბარები
(მენდევი, აღარ შეაღო
„ახალი სიტყვის" კარები).
არც „ძე"—ა აქ მოსატანი,
სიკოცხლე განამწარები!
ვაშა! ნაყოფი ვიგემეთ
ამდენი ხანი შრომისა,
სახელი კიდევ ვისწავლეთ
ჩვენთვის კეთილის მდომისა,
ზოგს ზაფხულის ვარდს, ბრჭყვიალას,
სჯობია შემოდგომისა!
ბოლოს მოუღებთ ამდენხნის
ზღაპრულსა ტკბილსა ძილობას,
ეუბილეის უმზადებთ,
აღარვინ ვიზამთ ცილობას...
შენც ხომ მიიღებ, ძამია,
იმაში მონაწილობას?

ხარკოველი.

ბოგბიას ფიქრები.

(მესტვირული)

გასივდა გული ბოლმითა,
ვერ დავემალე სევდასო,
სიავით ხშირათ დასჯილი
სული მთხოვს მოსვენებასო.
ყურნი ურჩობენ სმენასა,
თვალები მხედველობასო,
მაგრამა არც ერთ იმათგანს
არ მივსცემ ამის ნებასო!
ჯერ თუ შხამს მასმევს ცხოვრება,
და ვერ ველირსე ლხენასო,
ვერ ავცდი დღიურ ჭირ-ვარამს,
და მუდამ ცრემლთა დენასო
მით უფრო მინდა სიკოცხლე,
ვებრძოდე ბოროტებასო...
მით უფრო მინდა მოვესწრა:
ცხოვრების ლხინს და შვებასო...
ვიცი რომ გაზაფხულდება,
ახლოა ზამთრის ბოლოო,
გაიფურჩქნება ბუნება,
აყვავილდება მდელოო,
ერი დასძახებს ყიჟინას:
„ჩვენ გავიტანეთ ლელოო"...
იმ დროს მსურს მოვკვდე—ეს ხმები
საფლავში ჩავიყოლოო!..

ირაკლი.

ისმინე თანამშრომელო!

ამხანაგებო!

ყოველსა სგანს, ფიზიკურს,
აქვს მისი მოხაზულობა;
სივრცე დიდი და პატარა,
სიმძიმის შეტ-საკუთრობა.
იცოდეთ ზემო ნაწერი
არს მეცნიერთა თქმულობა,
პატარა არსში ძნელია
დიდისა ჩატეულობა.

ყოველიეე ეს მისთვის მოგახსენეთ, რომ ჩვენს ჟურნალში საქმეთა ვითარება შეიცვალა:

კარიკატურებმა იმატა, ნაბეჭდმა სიტყვამ იკლო

ამას ყველა თქვენგანი შეამჩნევდა, მაგრამ, როგორც გამოცდილება მიჩვენებს, ყველა თქვენგანი ჯერაც ვერ შეეგუა ახალ პირობებს. აი თუნდა მომისმინეთ:

ერთი შეგრელი მთავარ-დიაკონი, რომელსაც სულიერმა უფროსმა რიგიანათ არ გაუნაწილა მიცვალებულის გასვენებაზე აღებული თანხა, თორმეტი აბაზი, ძლიერ განაწყენებულა და გვწერს წერილს შვიდ თაბახ ქაღალდზე. იქ დაწვრილებით არის მოხსენებული:

1) როდის იყიდა მოძღვარმა თეოდორემ აღნიშნული მრეველი, ვისგან და რა ფასში.

2) რამდენი ხანია ის სოფელს ,,ემსახურება''.

3) რამდენი ქრთამი გაიღო კურთხევის დროს...

4) რამდენი საეკლესიო ფული გაფლანგა,

5) რამდენჯერ უჩივლა მრეველმა და მოითხოვა მისი გადაყენება,

6) რამდენჯერ იყო პოლიციაში დრამა ფულის მისაღებათ,

7) რამდენი კაცი მოუკვდა უზიარებელი,

8) რამდენჯერ უჭამია მარხვა,

9) რამდენჯერ მოუტყუებია თითონ წერილის ავტორი და სხვა ათასი ამგვარები.

ერთი სიტყვით, წერილი რომ უცვლელათ დაიბეჭდოს, მარტო მას დასჭირდება ორი ნომერი ჩვენი ჟურნალისა. ეს კიდევ არაფერი! პატივცემული მთავარ-დიაკონი თავისს ავტო-ბიოგრაფიასაც გვპირდება და იმედი უნდა ვიქონიოთ, არც ის იქნება თეოდორესაზე ნაკლები, სივრცით მაინც თუ შინაარსით არა.

იქონიეთ სახეში, ძვირფასო თანამშრომელნო, რომ ასეთი დიაკვნები და მთავარ-დიაკვნები ერთობ მრავალ არიან და ჩვენი გაზეთი ერთად ერთია. ამიტომაც ,,ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზისა'' გამო ასეთ წერილებს ბუხარში ვაგზავნით და წარმოიდგინეთ სარედაქციო კალათის ღირსადაც არა ვხდით.

მაშ რაა ჩვენთვის საჭირო? აი კითხვა! აი გამოცანა!

თუ თქვენ არ იწყენთ და არ იუკადრისებთ, მაქვს პატივი მოგცეთ პირველი გაკვეთილი კორესპოდენტობისა. წინასიტყვაობათ მოვიყვან მხოლოდ იმას, რომ პირობების მიხედვით:

წერილს უნდა ჩამოშორდეს
უსარგებლო, მეტი ბარგი,
გრძელი სიტყვა მოკლეი ითქვას,
და შაირიც დარჩეს კარგი!

ეს პირველი მცნებაა საჩვენო პროვინციალური წერილებისათვის. ამასთან ზედმეტათ მიმაჩნია ლაპარაკი ფაქტების სიმართლისა, ანუ სისწორის შესახებ, ვინაიდან ეს ყველასათვის ცხადი მგონია. მაშ ამგვარათ:

სიმართლეს უნდა სიფრთხილე,
სიცრუეს განდრეკილობა,
აზრს სიმარტივე, სიმწვავე,
სივრცეს კი შეკრეჭილობა.

ცხადია პროვინციალურ ცნობათა მოსაწოდებლათ ყველაზე უფრო სავარგისი ფორმა ეს **დეპეშებია**, მაგრამ დეპეშების შედგენასაც ხერხი უნდა და აი მეც აქედან დავიწყებ ჩემს პირველ გაკვეთილს.

დეპეშაც შეიძლება იყოს დიდი და პატარა, მაგრამ ყოველთვის უპირატესობა პატარას ეძლევა. რამოდენიმე სიტყვით უნდა გამოითქვას ამა თუ იმ შემთხვევის მთელი ჩონჩხი, ან სული. ეს არ არის ადვილი საქმე, მაგრამ დროა ახლა სიძნელესაც შევეჩვიოთ ვინაიდან დეპეშის აზრი ხშირათ გაურკვეველი შეიძლება დარჩეს. ამისთვის თითოეულ დეპეშას უნდა მოჰყვეს თან (რასაკვირველია რედაქციის საყურადღებოთ) სრული განმარტება. ეს აუცილებელი საქმეა.

აი წარმოვიდგინოთ, ვითომც თფილისი სძევს შორაპნის მაზრაში და მე როგორც ერთგული კორესპოდენტი ვაგზავნი ცნობებს ოკრიბულ გაზეთში ადგილობრივ ამბავ-ხაბარის შესახებ

თფილისი მთელი ქალაქი ახლად აღმოჩენილ ,,ლიტერატურულ პანამის'' შესახებ ლაპარაკობს. მოსალოდნელია დიდი ამბები.

(**განმარტება.** ამ დღეებში აქ მართლაც სენსაციური ამბავი მოხდა. არტისტიული საზოგადოების დარბაზში ქეიფის დროს, ტრამვაის დირექტორმა ბატალ წითელმა, ფარდა ახადა ერთ-ერთი ხმოსანისა და რამოდენიმე „ლიტერატორის" მოქმედებას ეს ენი არიან: ხმოსანი მირზოევი (უკვე რამოდენიმეჯერ ცნობილი თავისი «კეთილმოქმედებით» და «მწერლები» ლ. ყიფიანი და ვ. ნაგურსკი. ამათ, (ხმოსანი მირზოევის შემწეობით) პიროდა შეუკრავთ ტრამვაის საზოგადოებასთან და 350 მ. თვეში მიუღიათ მისთვის კალამი და პატიოსნება, გამოუცია გაზეთი, რომელიც უნდა დაეცო მწარმოებელთა ინტერესები და მფარველობა გაეწია კაპიტალისათვის.)

თფილისი. ,,ლიტერატორთა პანამის'' აღმოჩენამ უკვე გამოიღო ნაყოფი. შეტაკება მოუხდა ორ ბურჯს სამშობლოისა ჩვენისას. ბრძოლა ცხარე იყო. გაკაწრულია ერთი. სახელდობრ ცნობილი პ. გოთუა.

(**განმარტება.** ფრიად აღმაშფოთებელი სანახაობის მოწმე გახდა ქართველი საზოგადოება გასული კვირის წარმოდგენაზე. „ზაკავკაზიეს“ თანამშრომელი გ. დისამიძე თავს დაესხა „ნოვაია რეჩ“-ის რედაქტორს პ. გოთუას და შეურაცხყოფა მიაყენა, ანუ უკეთ ვსთქვათ გალახა. ამ სამწუხარო მოვლენის მიზეზათ ასახელებენ გოთუას გაზეთში დაბეჭდილ ცნობას, სადაც აღნიშნულია მთელი რედაქცია «ეჟენ. ობოზრენიესი» როგორც მონაწილე «აწერალთა სინდიკატისა.»)

თფილისი. ქართული თეატრის სცენაზე კიდევ გამოჩნდა ერთი შემთხვევითი კომეტა ანუ „კუდიანი დრამა“. ორი დღე ზედი-ზედ მოსჩანდა საღამოს რვა საათიდან, ვიდრე ნაშვალამევის პირველ საათამდე. შემდეგ მიიმალა და ვგონებ აღარც გამოჩნდება.

(**განმარტება.** ეს მოკლე ცნობა შეეხება ვასილ ყიფიანის «ახალ» დრამას „სამეგრელოს მთავარს ლევანს.“ აქ ამბობდენ ბ-ნი ყიფიანი ამ „დრამას“ 15 წელიწადს სწერადაო. თუ ეს მართალია, დიდი ვერაფერი შეგვიძლია ვანუგეშოთ ავტორს და საზოგადოებას. თანახმად ჩვენი თანამედროვე დრამატურგების დიდი უმრავლესობისა ბ-ნ ყიფიანსაც დრამატიზმი ხოცვა ჟლეტასა, კვილ-ბღავილსა და პანაშვიდების გადახდაში ჰგონებია. მოქმედ პირთაგან დაბოლოს სცენაზე ერთად-ერთი გადარჩენილი ლევანი ღა დარჩა. ერთი ხანჯალით მოიკლა, ერთი თოფით, ერთი მოიწამლა და ერთიც ხელით დახრჩობილ იქმნა. სიმართლე უნდა ითქვას დრამას ღირსებებიც ბევრი აქვს. მაგალითად ისა რომ უპარტიო და უშინაარსოა. აღსანიშნავია ისიც, რომ თითქოს განძრახო წესი ეგება ავტორის შემოქმედობით ნიჭს ბოლო მოქმედების ლოცვებში.)

მე ბევრი მაგალითების მიყვანა შემეძლო, მაგრამ მგონია ესეც კმარა დღეს დღეობით და იმედი მაქვს ჩვენი ძვირფასი თანამშრომლები ღირსეულათ იხელმძღვანელებენ ამ მცირე დარიგებით. ამგვარათ

ვინც ყურათ იღო ეს დარიგება,
ვინაც გაიგო ეს თხოვნა წრფელი
დღეის ამირე მე იმათთაგან
მოკლეს და მწვავე წერილებს ველი.

ეშმაკი.

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ

კ. პ. კანდელაკისა

კოლოპერაცია

თეორია, ისტორია და პრაქტიკა

წიგნის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ნაღდფულზე შემდეგის ადრესით: *Тифлисъ, Типографія Шрома В. К. Болквадзе.*

ვინც არა ნაკლებ 50 ცალისა გამოიწერს, დაეთმობა 25%.

ვისაც სურს პროვინციებიდან თითო ცალი გაიწეროს, შეუძლია გამოგზავნოს შვიდი შაურის მარკები და ამ ფაშსი მიიღებს თავის ადრესზე.

იუმორისტულ ჰუმორულიარული, ეროვნულ-კვირეული, სურათებიანი ჟურნალი

„მათრახი და სალამური“

წელიწადში ღირს 5 მან., ნახევარი წლით — 2 მან. 50 კ., ერთი თვით—50 კაპ.

მიიღება დასაბეჭდი განცხადებები: პირველ გვერდზე სტრიქონი 20 კ., უკანასკნელზე—10 კ.

დროებითი რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Типографія Т-ва «Шрома» Василію Болквадзе.

იყიდება „შრომის“ სტამბაში

და აგრეთვე გაეგზავნებათ მსურველთ:

1) „ეშმაკის მათრახი“ 1907 წლისა 13 ნომერი ერთად შეკერილი. . . . 1 მ. 30 კ.

2) „ეშმაკის მათრახი“ და „მათრახი 1908 წლისა, 35 ნომერი ერთად შეკერილი . . . . . 2 — 50

3) „ალმანახები“: აკაკი, ეშმაკი, ჯოჯოხეთი, ეშმ. მათრ., და ტარტაროზი, —სულ 10 ნომერი ერთად შეკრული . — 50

4) „ქრისტინე“, ოთხ მოქმედებიანი დრამა ე. ნინოშვილის მოთხრობიდან პ. ირეთელისა . . . . . — 20

ვინც პროვინციებიდან გამოიწერს და ღირებულ ფასს გამოგზავნის, ფოსტის გასაგზავნი ფული არ გადახდება.

მსურველმა უნდა მიმართოს „შრომის“ სტამბაში, ვასო ბოლქვაძეს. ფულის მაგივრად ფოსტის მარკების გამოგზავნაც შეიძლება.

13 დეკემბრიდან თფილის გამოდის სალიტერატურო ჟურნალი

„სხივი“

მიიღება ხელის მოწერა 1910 წ თფილისში: ი. კალაძის სტამბაში ვნდიამერვის ქუჩა № 6 და ვ. გაბიდიასთან წიგნის მაღაზია „ვაჟიან“-ში კირჩხი ქუჩა № 9 პროვინციაში—ქუთაისში—წიგნის მაღაზია—, „მერეთში“ ის. კვიცარიძესთან. სამტრედიაში რკ. გზ. შკოლაში—გ. მეხარაძესთან ოზურგეთში—მ. თალაკვაძესთან; ზესაფერაში—ვ. ხუროძესთან ჩოხატაურში—ს. თავართქილაძესთან, ხიდისთავში—ე. დიმთაფაიძესთან და სხვა.

წერილები და ფული ამ ადრესით უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ Типографію „Печатное дѣло“ Белиминовская № 6 Поліевкту Ант. Калан-дадзе.

შორს მხედველობა.

ბეცი. შეხედე ერთი რამოდენა კუდი აქვს ამ წყეულ ვარსკლავსა!!!
შორს-მხედველი. წარმოიდგინე, მე იმასაც კი ვამჩნევ, თუ როგორ იქნევს კუდსა.

ვედრება.

მოძღვარი. მეუფეო ზეცათაო! შემინდე შეცოდება ჩემი და ისეთ გრძელ სანთლებს დაგინთებ, რომ ზეცას უწიოს...

რ უ ს უ ლ ი დ გ ან.

(პეტეფეიდგან)

მე მიყვარსა, მიყვარს! იმზომ ამ ქვეყნად
ჯერ კიდევ არვის არ ჰყვარებია—
იმას შევსწირე ჩემი ცხოვრება
მისთვის ვაღღერე მე სიმღერია.

—

მე მიყვარს ქალი, ის მომაკვდავი
ვისაც ჰგონია, სასტიკად სცდება,
ის თვით ღმერთების ასული არის,
სახელად ჰქვიან თავისუფლება!

—

მაგრამა ტურფას დაბადებიდან
დასდევს ბურუსი, ვით ბნელი ღამე—
მე მიყვარს მაინც, ვაჰ ჩემსა ღმერთას
მხოლოდ სიზმრებში დავინახავ მე!..

—

და აი, დღესაც სურნელოვანთა
ყვავილთა შორის მეჩვენა მე ის...
დავეცი მისთა ფერხთა წინაშე
მსურდა მიმეძღვნა კონა ყვავილის.

მაგრამ, უეცრად, მახვილით ხელში
წინააღმიდგა სასტიკი მტერი,
იელვა ხმალმა და იმავ წამში
გადაიბასრა ჩემი კისერი!

—

და ნაცვლად ტურფა თაიგულისა
თავი მივუძღვენ ჩემს ღმერთას, მკვდარი,
იმის წინ ვეგდე, როგორც ძვირფასი
სიყვარულისა მე საწინდარი.

ვ. ცამბარელი.

შ ა ვ ი ქ ა ლ ა ქ ი

ჭ ი ა თ უ რ ა.

I.

რადგან მუდამ დღე აურაცხელი ვაგონებია დასატვირთავი და კაპიტალისტებს მუშები არ ყოფნით ბ.ბ. მელიტონ-იანკო პოპონდოპულოების, გიორგი ქურდაძის და ს. ლომიძის ენერგიული მეცადინეობით ძლივს შედგა მეორმოცდა ათე ჯგუფი (არტელი) მუშებისა. მუშაობა დღე და ღამე, საქმე და უქმე შეუწყვეტლივ სწარმოებს. სამუშაო პირობები 1905, 6 წლებთან შედარებით ძლიერ გაუმჯობესდა. სამუშაო ხელ-ფასმა აიწია, კაპიტალისტები ძლიერ უკმაყოფილონი არიან ამგვარი მდგომარეობით (კ. თუმანიშვილს დეპუტაციას უგზავნიან დახმარების სათხოვნელათ). ყველაზე უკეთ მოწყობილი ,,არტელი''-ს წევრი აკეთებს თვეში 2 მან. და 17 კაპეიკს, მოსალოდნელია 2 მან. და 27 კაპეიკზე ავიდეს. მუშები ამბობენ: ,,თუ ასე წავიდა საქმე პროფესიონალური კავშირი და სხვა ამ გვარები სრულიად ზედმეტი იქნება ჩვენ-ივისო''.

*
* *

დარკვეთში, ანტვერპენის კომპანიის ქარხნის მართველმა ტაბურიოვმა განცხადებები გამოაკრა, რომლითაც აცნობებს მუშებს, რომ ზოგს იმათგანს ჯამაგირზე მიუმატა 25% ზოგს მოუკლო 20% და ზოგს კიდევ უცვლელად დაუტოვა. მართალია განცხადებებში სტატისტიკურათ არ არის აღნიშნული: უმრავლესობას მოაკლდა თუ მოემატა, მაგრამ ეჭვი არ არის, რომ უმრავლესობას მომატებული ექნება ჯამაგირები. ტაბურიევის აზრით ამას საერთოდ დიდი სოლიდარობის შექმნა უნდა მოყვეს მუშებში, თუ რომ რასაკვირველია ,,კატასტროფა'' არ გამოიწვია.

*
* *

ივ. ბეჟ—ჩ ფუტკარაძეს მუშები საზღვარ გარეთ აგზავნიან ენაზე ოპერაციის გასაკეთებლათ.*)

*
* *

როგორც გავიგეთ ბ-ნს გ. ნ—ს ჯერაც არ მიულია საბჭოს წევრებისაგან ის სამასი მანეთი „პოსობიე'' რომელიც აღუთქვეს „ბანკი"-ს საშვალებით კერძო თათბიროზე.

*
* *

თუ აქ გავრცელებულ ხმებს დავუჯერებთ, ცნობილი დრამატურგი ს. გლახაშვილი ამზადებს 4 მოქმედებიან დრამას „შიმშილს"

შავი ეშმაკი.

ე პ ი ს ტ ო ლ ე ე შ მ ა კ ი ს ა დ მ ი

საკითხავი მეორე.

ეშმაკო, ოზურგეთიდან
ჩამოგვიარე გურია,
და რაც ვიხილე თვალითა
გიამბო ავი მწეურია

ძაღ.

ჩემო ბიძია, ეშმაკო! იქნებ არ იცი, არ გინახავს და არც გსმენია, რომ აკეთის საზოგადოებაში არის სოფელი ერთი და რომ იმა სოფელსა ეწოდება ჭანჭათი. ძველთაგან ასე გამიგონია და შენც ასევე მსურს მოგითხრა—თუ ეს სახელი რისთვის დაურქმევიათ მისთვის.

ამ სოფელს თურმე არ ყოლია არასოდეს არც თავადი, არც აზნაური—და რაკი არავინ იყო მათი შემასთქმეურებელი, ერთი ერთმანეთს ერეოდნენ, ჰქონდათ დავა ,,ჭანჭყალ-ჭიჭყინი''.

ჭიჭყინ-ჭიჭყინი, ჭანჭაყალ-ჭანჭაყალი და ამ

---

*) სასიამოვნოა მუშების ასეთი გულშემატკივრობა სნეული ამხანაგისადმი. მართალია ენის ბორძიკი დიდი ნაკლი არ არის, მაგრამ მაინც უიმისობა სჯობია.

ეშმაკი.

სოფელმაც შეირჩინა ეს ორი „ჭარი“ და დაერქვა მას ჭანჭათი.

შენც იცი ჩემო კეთილო, ჯოჯოხეთის ღირსო „ღრაჟდანო“ ამ ქვეყანაზე ყველაფერი წარმავალია. აბ სოფელსაც მოეკლინა ბატონებათ დეკანოზისა ყმა გოგვაძენი

ხო და ასე, მოვიდნენ თუ არა, ნახეს ქვეყანა ებატონო და ებატონენ მას. რა გინდა, რომ ამ „დეკანოზებმა“ არ გააკეთეს, არ იყო ერთი სასაფლაოს მეტი. ეხლა ოთხია. არ იყო ერთის მეტი საყდარი—იმანაც იბარტყა. ჯერი ძიდგა ეხლა სკოლაზე. უმეტესობის განაჩენი იყო დაეარსებინათ ერთი სკოლა, მაგრამ კარგი და ორ-კლასიანი. დეკანოზებმა სხვაფერ ბრძანეს, სხვაფრივ ინებეს. დაელოცათ გამჭრიახობა და სამართალი! ერთს ორი ჯობსო, შეგვაგონეს და მიგვახთინეს. მაგრამ ერთი სკოლა სადაც გინდათ იქ წაიღეთ, მეორე კი ჩვენ დაგვიდგით აქ ტალახშია. მოახსენებენ დეკანოზებს სოფლელები: ორი კარგია, მაგრამ არ გვაქვს მაგის შეძლება და თუ შეგიძლებთ, ავაშენებთ მეორესაც, ზერელე დავდგამთ მათ მშრალს ადგილზე, მართალი არის თქვენი პიტიოსნება შეჩვეულია ტალახს, მაგრამ ჩვენ... არაფერიაო ბრძანებს, ლავრენტი ლევანიჩი თავი დეკანოზი მიკიტანი, მასთან მედუქნე თუ გინდათ რომ ტალახი არაფრათ გამოგიჩნდეთ, ჰა, გადაკარით ჭაჭის ოტკა—ნამდვილი სპირტია... მე ხომ არა მსურს, მარტოს რომ სკოლა დაედგა ჩემი დუქნის გვერდზედაო, პატრი ნიკოლ მეხმარება, ხელს მიწერს ამაზედაო.

გადაჭკრეს და სადღეგრძელო,
სათითაო გააჩინეს,
ბარბალეც კი ადღეგრძელეს
წვეთიც არვის შეარჩინეს‘.

და ამ რიგათ ერთის ნაცვლათ ორი სკოლა გაიჩინეს.

მოდი ნუ გაგიხარდება, თუმც ძრიელ ბევრს სწყენს ასეთი ჭანჭათური ჭიჭყინ ჭანჭალი, მაგრამ ჯ-ჯოხეთი იცინის. ერთი სკოლა მეორეზე სულ რალაც ასი საჟენიდ არის დაშორებული, მეტით არა—ერთი ტალახშია და მეორე კოხტა გორაკზე, მაგრამ ამას მოყვება შური, მტრობა, დანოსი, დასმენა, დაბეზღება და ამით ჯოჯოხეთის შვილები გამრავლდებიან, მაგრამ ან კი როდის იყო, რომ დეკანოზები სამოთხეს უმზადებდნენ შვილებს.

ბ ძ ა ღ ე.

მოკლე ლექსიკონი.

(აბაშის სიბოქაულოსათვის)

აბაშა—პოლიციის აზრით რევოლიუციონერების ბუდე, სინამდვილით კი კარგი სათლელი დუმა.

აფთიაქი საცდელი დაწესებულება.

ბანკი—მემამულეების გასაკოტრებელი მანქანა.

გინება—პოლიციელისებური სალამი.

დასრულებელი საქმე—გამოძიება მამა ჯაკობიას საჩივრისა მამა ჩოჩიას შესახებ.

დანოსი—მოკითხვის ბარათი პოლიციისადმი, „არა საიმედო“ პირისა, რომელმაც რითიმე აწყენინა ბარათის ავტორს, მოკლე ბიოგრაფიით.

„ეშმაკის მათრახი“—(ჟურნალი)—მამა მელიტონ ქვანიას ნერვების ამშლელი ქალალდი.

„მათრახის“ კორესპოდენტი—„გამათრახებულების“ აზრით უსაქმო და უაზრო მჯდომარე.

ინიციატორობა—ღვინის სმის წამოწყება, ანუ ბახუსის ხშირი თაყვანისცემა მასწავლებელის მიერ.

ინტელიგენცია—უმოსაქმოთ მოხეტიალე ჯიშის ხალხი.

მოწაფე—ორფეხი ცხოველი მაიმუნის ჯიშისა, რომელიც არ საჭიროებს ადამიანურ მოპყრობას ზოგიერთ პედაგოგის აზრით.

„პოეტი“, ანუ ეფრემ მაკალათია—ბაძი დადიანის სამკურნალოს პირველი კანდიდატი.

სამება—კონსტანტინე, ბაგრატი და დიმიტრი.

ცილორი—ბანკის მოხელეების სასაკლაო შემოდგომაზე.

პ რ ი ვ ა ტ ე შ მ ა კ ი.

წერილები რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

„მათ. სალ.“ 28 ნომერში მოთავსებული იყო ჩემი წერილი, სადაც სხვათა შორის ვეხებოდი დათიკოს და მისი მოქმედება გამოვაზეურე. ბ. დათიკო ამაღლობელს იმ წერილში თავისი თავი უცვნია, იქ აღნუსხულ ფაქტები „სახიზღარ ცილის წამებათ“ მიუჩნევია, რისთვისაც მიწვევს სამედიატორო სამართალში.

მე დიდის სიამოვნებით ვეთანხმები ბ. დათიკოს ასეთ სურვილს. ჩემის მხრით მედიატორებათ ვასახელებ: ბ. ბ. კოწია კანდელაკს, იუსტინე ხონელიძეს და სევ. გვიჩიას. მედიატორეთა განაჩენი აუცილებლათ გამოცხადებული უნდა იქნას «მათრახ სალამურში.»

პროვინციელი ეშმაკი.

ბ. რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ დამიმოწმოთ, რომ კორესპოდენციები, მოთავსებულნი თქვენს პატივცემულ ჟურნალ „მათრახ-სალამურ“-ში „პროვინციელი ეშმაკი“-ს პსევდონიმით მე არ მეკუთვნის და არც არავითარი დამოკიდებულება მაქვს „მათრახ-სალამური“-ს რედაქციასთან და მით ამაშოროთ უსიამოვნობას ზოგიერთ პირთაგან.*)

მარნის ორკლასიან სამინისტრო სკოლის მასწავლებელი
პ. ასათიანი.

ბატონო რედაქტორო!

რადგან მე იძულებული ვხთები, სხვა და სხვა მიზეზებისაგამო, პირადათ არ გამოვცხადდე ჩემსა და დიდიჯიხაიშის ქსენონ აფთეაკის კომიტეტებს შორის დანიშნულ სამედიატორ სამსჯავროში საქმის განხილვის დროს, ამიტომ გთხოვთ გამოაცხადოთ, რომ ჩემ რწმუნებულათ ვასახელებ ივლიანე მალხაზის-ძე ხეთერელს, რომელიც დაიცავს ჩემ მიერ წამოყენებულ ბრალდებებს.

კიკოლა ბიჭი.

---

*) „მათრახ-სალამურის“ რედაქცია ამოწმებს, რომ ბ-ნს ასათიანს არ ეკუთვნის აღნიშნული წერილი და არც ჩვენს რედაქციასთან აქვს რაიმე დამოკიდებულება.

წელიწადი **1910 წლისათვის** ფეოლრ.

მიიღება ხელის მოწერა
ყოველ-კვირეულ იუმორისტულ ჟურნალზე

ვინც ამ თვიდან გამოიწერს ჟურნალს და მთელი წლის ფასს შემოიტანს აგვისტოს პირველ რიცხვებში ჟურნალთან ერთათ

პრემიათ გაეგზავნება
ახალი პრეგული

ამ კრებულში მოთავსებული იქნება: ლექსები, მოთხრობები, იუმორისტული ნაწარმოებნი და სხვა, როგორც ორგინალური ისე ნათარგმნი.

წიგნი 300 გვერდიანი იქნება, მოზრდილი ფორმატის და ეღირება 1 მ.

მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ახალგაზდა მწერლები და პოეტები.

ჟურნალის ფასი მთელი წლის **სრულად უნდა აუცილებლათ შემოტანონ პირველ ივნისამდე.** ვინც ამ დრომდე სრულად ვერ შემოიტანს პრემიას ვერ მიიღებს. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილათ: პირველათ 2 მ. 50 კ. დანარჩენი 2 მ. 50 კ. პირველ ივნისამდე.

1910 წლის 1 იანვრიდან ჟურნ. „მათრახი და სალამური" გამოვა იმავ შინაარსით. რედაქცია ეცდება გააუმჯობესოს ჟურნალი. მონაწილეობას მიღებენ: **ახიანი, ბლიეკვაძე, კანჯის-კარელი, ეშმაკი, გოლდმარი, ზომლეთელი, თურდოს შირელი, იასამანი, კენტი, ლეწხუმელი, მალაქიაშვილი, პატნა, ტ. რამიშვილი, რუხამე, რუშაგელი, ტუმსიშვილი, ფონ-ტეფო, ქუჩიშვილი, შხანკოლა და სხვანი.**

ჟურნალი წლიურათ ღირს 5 მ. თვიურათ 50 კ. ცალკე ნომერი 10 კ

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ Типографія Т-ва „Шрома" Василію Карамановичу Болквадзе.

ელექტრო-მბეჭდავი ამხ. „შრომა" რუს. ქ. № 3. რედაქტორ-გამომცემელი ვ. ბოლქვაძე.